

ხოზის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობა

ხოზის ტაძარი, თავისებური და მრავალმხრივ საეკლესიო ნიშნით ნეონი ხუროთმოძღვრებისა, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აუგიათ და იმავე დროსვე შეემკითა დახვეწილი ოსტატობით შესრულებული მხატვრობით¹.

გუგამით ტაძარი უგუშბათო ნაგებობაა. ნაგებობის კამარები შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნიან. გარედან კი მათი სახურაეებით ჯვაროვანი მოცულობაა წარმოქმნილი. დროთა განმავლობაში შესაძინევი ცელილებები განუცდია ტაძრის ხუროთმოძღვრებას. თაყდაპირეული სახით მის აღდგენას გამორჩეული მეცნიერული აღლათი შესრულებული გამოკელევა უძღენა ღუენ რნეულიშეიღმა². მკელევარის აზრით, ტაძრის ინტერიერის ზოგადი ორგანიზაცია თუმც უცელელი სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ თეით ხუროთმოძღვრული ფორმებია ცალკეულ დეტალებში იმდენად სახეცელი, რომ დიდად შორდება მის თაყდაპირეულ სახეს. ნეენტვის ამიტომაც არსებითია ეს ნაშრომი – სწორედ ამ ცალკეულ დეტალთა სახეცელილების თანმიმდევრული ნეენებით, არა მხოლოდ სხედასხეა ისტორიული პერიოდიდან შემორჩენილი მხატვრობის ქრონოლოგიური ფენების გამოყოფა ხდება შესაძლებელი, არამედ ისიც, ტაძრის ინტერიერის თაყდაპირეული სახის ცელილებების შესატყვისად თუ როგორ იქნა მოაზრებული მოხატულობის ეკონოგრაფიული პროგრამა.

ინტერიერის დასაყლეთ ნაწილში მთავარი სივრცისგან ღლესათვის ღიაღებით დაკავშირებული გუერდითი სათაყსები თაყდაპირეულად დამოუკიდებელ სადგომებად – საძეაღეებად ყოფილა გამიზნული. ამიტომაც გამოყოფიან ისინი ყრუ კედლით მთაყარ სივრცეს და ამიტომაც კქონდათ საკუთარი, თაეთაეიანთი შესასელელი დასაყლეთი მხრიდან. ამ ორი სადგომის საპასუხოდ, ახლა უკეე, აღმოსაყლეთით ასევე მომცრო ზომის ორი სათაყსია წარმოდგენილი, რომლებიც – როგორც ამჟამადაა – საკურთხეულს კი არ უკაეშირდებოდნენ ერთაღერთი ღიაღით, არამედ ტაძრის მთაყარ სივრცეს. ეს ორიეე სათაყსი აფსიდიანია, ორიეეგან ტრაპეზი დგას და გასაგებია, რომ ორიეე ღეთისმსახურებისთვის განკუთენილი ცალკე სამლოცველო კაელებია³. ასე რომ, ტაძრის მაშენებლისთვის თუ სამხრეთ და ჩრდილო-დასაყლეთით მოქცეული ეგეტერნი იმჟამინდელ ფეოდალთა სახლის წეერთა საძეაღედ იყო გამიზნული, სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსაყლეთის ორი აფსიდიანი სადგომი – ამაეე პირთა სულის მოსახსენიებელ სამლოცველო კაელებად.

ხოზის ხუროთმოძღვარი ქმნის დასაყლეთიდან გრძივ ღერძზე მიმართულ, სიმაღლით გამორჩეულ, ერთიან დარბაზულ სივრცეს, სადაც ცენტრი გამახვილებული კი არა, ოდნეადაც არ არის მინიშნებული. დასაყლეთიდან, ტაძრის ცენტრალური შესასვლელიდან, საკურთხეულისკენ მიმაეალი მლოცველი საძეაღეთა ორ ყრუ

¹ ვახტანგ ბერიძე, ხოზის ტაძრის ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ზაცნე, 1973, გვ. 72-88.

² ღუენ რნეულიშეიღი, ხოზის ტაძრის პირეღაღი სახის გარნეეა. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკეეები, თბ., 1994, გვ. 253-266.

³ იქეე, გვ. 257-258.

კედელს შორის მოქცეული სიერციღან ხალეათი სიერცისკენ მიემართება. გზად სამხრეთისა და ჩრდილოეთ მკლავთა დრმა უბეები წნდებოდა. რომელთაც „სიერცის მხატვრულ სურათში არ აქვთ დათმობილი მთავარი ნაეის ტოლფასი ადგილი. ისინი ამ უკანასკნელის დანამატია მხოლოდ და შიგა ანსამბლებიც ისე აღიქმებიან როგორც მოცულობითი უბეები“⁴. დარბაზულ სიერცესთან მათი დაქვემდებარებული მდგომარეობის მიუხედავად, ტაძრის შიდა სიერცე შუაში მაინც იმდენად ფართოედება, რომ შესამჩნევად იჭრება გვერდითი მკლავების ამ მადალსა და ფართო უბეებში, რაც ნებაუნებურად იწვევს ეურადღების ხამი მიმართულებით მიმართვას (როგორც საკურთხეველისკენ. ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთ მკლავთა კამაროვანი უბეებისკენ). ოღონდ მაინც ნაწილობრივ და ისიც შედარებით მცირეოდენი დროით, რადგან ეურადღების ძირითადი ნაწილი ისეუ და ისეუ ცენტრალური ნაეის იმ ფართო სიერცისკენაა მიმართული, რომელიც უხვეულოდ დრმა ბემთა და აფსიდის განიერი, გამორჩეულად მაღალი ხამი ხარკმლით უხეად განათებული საკურთხეველითაა დავეირვეინებული.

ასე თავისებურად მოასრებული სიერცე ტაძრის ინტერიერისა, მომხატველი-ოსტატის მიერაც თავისებურად, ამასთან ხუროთმოძღვრულ ფორმებთან შესატყვისად არის მოფიქრებული. ნვენ აქ მხოლოდ იმ გვიანდელ, XVII საუკუნის შუა ხანებში შესრულებულ და დღეისათვის თითქმის სრულად შემორჩენილ მხატვრობას ეკუთვნის ხმობთ, რომელიც არსებითად განსაზღვრავს კიდევ ტაძრის დეკორის დღევანდელ მხატვრულ სახეს⁵.

ეს მხატვრობა, ვახტანგ ბერიძის ვარაუდით, 1640-1643 წლებს შორის შეიძლება მოექცეს - ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში, როცა ხობის საეპისკოპოსო ტაძრის წინამძღოლად ნიკოლოზ (ნიკიფორე) ნილოყაშვილია⁶.

⁴ ლევან რჩეულიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

⁵ ხობის ტაძარმა ხამი სხედასხვა დროის, არც იუ სრულად შემორჩენილი მხატვრობა შემოგვინახა. მოხატულობის პირველი ეტაპი, თინათის ვირსადადის გამოკვლევით, ტაძრის თანადროულია - XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე შესრულებული. ამ მხატვრობის კვალი სამხრეთ-დასავლეთშია საძველემ შემოგვინახა მხოლოდ, რომლის სამხრეთ კედელსაც შერგილ დადიანისა და მისი მეუღლის - აბგამად თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული - პორტრეტები იყო გამოსახული. დღეს კი, წმ. თანე ნათლისმცემლის ცხოვრების ამსახველი სცენებია ძალზე ფრაგმენტულად შემორჩენილი. ეს მხატვრობა პალეოლოგოსთა, იმხანად ახლად დამკვიდრებული ხელოვნების გაუღენითაა შექმნილი. ყრავგმენტულობის მიუხედავად, მანს შესრულების დახვეწილი ოსტატობა და ისიც XIV საუკუნის სახეთი ხელოვნების სტილის ნიშნები ჯერ კიდევ ნაკლებგანვითარებული სახით რომ არის წარმოდგენილი (თ. ვირსადაძე, შერგილ დადიანის მოხატულობა ხობში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო სესია, თბ., 1946; მოხსენების თეისები).

ამავე პალეოლოგოსური სტილის ანარკელაა მომდევნო ეტაპზე - XIV საუკუნის გასულს შესრულებული მხატვრობაც. ეს მხატვრობა, რომელიც ვამეუ დადიანის მომცრო სიის სვეტურსაა შემორჩენილი, იკონოგრაფიულად მაცხოვრის ენებათა ციკლს გადმოსცემს. პალეოლოგოსური სტილისთვის დამახასიათებლად წნდება კომპოზიციების რამდენიმე ხელთ წარმოდგენა; სიერცის პირობითი ჩვენება თუ მოცულობითი ფორმის წარმოქმნის ცდა; სცენებში მონაწილე პერსონაჟთა ხაზგასმული ემოციურობა; მათი სახეების მომწიანო-მოწითალო ტონის ჩრდილებით დამუშავება; თეთრას მოკლე პარალელურ შტრიხებად ან მარაოსებრ დატანილი მონასმებით სახეების გაცოცხლება; ხამოსის ურომანეთზე მწიობრად განლაგებულ ნაოჭთა დამახასიათებელი ნახატი - წერის ისეთივე ხერხები, როგორც წალენჯიხის მხატვრობაშია შენიშნული (И.Г. Лордкипანიძე, Росписи придела Вмечта Дадман в Хоби. Русь-Грузия, М., 1978, გვ. 131-144. მისივე, Росписи Цаленджиха, თბ., 1985).

ხობის ტაძრის შემკობის მომდევნო ეტაპი უკვე ნვენს მიერ განსახილველ XVII საუკუნეზე მოდის, თუშცა რამდენიმეგან უფრო გვიანი მხატვრობის კვალიცაა შესამჩნევი.

⁶ ვახტანგ ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81-82.

ხობის ტაძარს ოდიშის მთავარი განსაკუთრებული გულსიყურით ეკიდებოდა. სწორედ ამ გამორჩეული 'ხრუნის' შედეგია 'შენობის მოხატვა - ხატების შეწირვაც, სახაწილეოა განახლებაც...'⁷

ტაძარი დასაყდესო-საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზ ნოლოცაშვილის რეზიდენციაა. სადაც წლების მანძილზე ამ ღირსეული საეკლესიო მოღვაწის, სწავლული თეოლოგის, გონიერი პოლიტიკოსისა და დიპლომატის თაოსნობით ფართოდ გაშლილია მრავალმხრივი საეკლესიო მოღვაწეობა⁸. მისი პორტრეტი, ეყლა დროის საქტიტორთა გამოსახულებათაგან განსხვავებით, სრულიად უწვეულოდ საკურთხეულის წინ, ბემის ჩრდილოეთ კედელზეა დახატული (ნახ. 2). მას თავს აღვას მონაცრისფრო ფონზე გრაფიკულად გამოსახული მაცხოვრის კურთხევად მიმართული წელსემო ფიგურა. დღეისათვის ძნელად გასარჩევი, თანამდევნი მხედრული წარწერა ასე იკითხება: „მე [] [ქმან] ხობელმან ნიკოლოზ დაეხატეხუ: ესე საყდარი: ნემის: სულის: საცხოვნებლად“. წარწერით ნიკოლოზ ნოლოცაშვილი მხატვრობის დამკვეთია და, ალბათ, როგორც მღვდელმთავარი, მოხატულობის საკმაოდ რაული იკონოგრაფიული პროგრამის შემდგენელიც.

ფიგურა ქტიტორისა გამორჩეულად გაზრდილი მასშტაბისაა. ის სხვათაგან განსხვავებითა და მოვეითადლო თქრას ერთფეროვან ფონზეა გამოსახული და სვენსკენ, მკერეტელზე მომართული მზერით ფრონტალურად დვას. მარჯვენა უედრებად აქვს გაწვილი, მარცხენათი სამწყსოს მართვის უფლების სიმბოლოს - ეპისკოპოსის კურთხის ეგრდნობა. მერთაღად, მაგრამ ნანს კვერთხის თავზე ორი ბეკლი და მათ სემით ჯვარი რომ არის ქრისტეს მიერ სატანის დამარცხების აღსანიშნად გამოსახული. ბერობის ნიშნად თავს ეუნკელ-ბარტყული მოსავს - შავი ფერის თავსაბურავი, რომლის ორი ფრთაც მხრებზე ეფინება. შუაში მარგალიტის ჯერით დამშეხებულ თავსაბურავს (რაც, ისევე და ისევე, მის მღვდელმთავრობას მოწმობს) მიუღს სიგრძეზე დაუყეება მონაცრისფრო ფერის ძვირფასი ქეები. კაბა ნაღხია: ხამოსის განიერი სახელოები სამღვდელმთავრო ფილონს აღნიშნავს. სამღვდელმთავროთა ისიც, მკერდზე სულოერ ფარად რომ აღინიშნება სწორკუთხა ფორმის ნაქარგობა. ქეემოთ ფართოდ დაშეებული, მთელს სიგრძეზე მარგალიტის მწკრივით მართული მუქი ნაცრისფერი მანტია მუხლებთან იკერება.

ნიკოლოზ ნოლოცაშვილი შუახნის წარმოსადევი მამაკაცია, სახის მრგვალი თეაღითა და ოღნაყ წამოწყელი ეერიმადლებით; ფართოდ გახედილი მეტყველი თეაღებით, სქელი წარბებით, მოკლე წყურითა და გრძელი უღეაშებით და, რაც განსაკუთრებით ხეღება მკერეტელის თეაღს, ღირსებით სავსე მკაცრი გამოხედვით. მნახეღელზე მომართული, თითქოსდა დაჟინებული მზერა ქტიტორისა ცხადლიე გეითაშქარაეებს აეტორს იმ სიტყეებისას, რომელიც მისიეე ნებით ამოკეეავს თერუსაღლიმის ჯერის მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეულის პირდაპირ დატანიდ ბრინჯაოს ფილაზე: „სღეკით მტკიცედ და შეერყეულად და მიმიხსენეთ მე, ცოდვილი ჯვარის მამა ნიკოფორე-ნიკოლოზ“.

⁷ განსაკუთრებით მრავლდება შეწირული ნეთები 1639-40 წწ. მახლობლად, ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ. 1640 წელს ღეეანი ნესტან-დარეჯანის სულის სათხად განახლებს ხობის ტაძრის ბირღოხან დელოფლისეულ დიდ, მრავალნაწილედ ხატს „ჯამთა ეთარებისაგან მომღიღას“. აღბათ, ამავე წლებში შუამო ღეეანმა სახაწილე, რომელშიც ხობის წმიდათა-წმიდა ღმრთისმშობლის ევართი, წინდა გორგის, წინდა მარინესა და წინდა ითანე ნათლისმკეეღის ნაწილები ინახებოდა. ვახტანგ ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, 86.

⁸ ნიკოლოზ ნოლოცაშვილის (ნიკოფორე ირბახი - 1585-1658) შესახებ დაწერ. იხ. კ. კაკულ-იძე, ნიკოფორე ირბახი, ღიტერატურული მეშეიდრეობა, I, თბ., 1935; გ. აკოცაშვილი, ქართული დიპლომატი ნიკოლოზ ნოლოცაშვილი - ნიკოფორე ირბახი, თბ., 1977

სახის წერის მანერა ამ ქტიტორისა XVII საუკუნის მხატვრობისთვის დამახასიათებლად, შესამჩნევად ერთფეროვანია: სახესე სარწულის ყრუდ დატანილ, ყაეისფერნარვე მორუხო ტონს ერთიანად ედება თეთრა. წამუქებულ ადგილებში (ტუნსქეჟმოთ, თეაღის უკეებთან) ისევე სარწულის ფერი გამოკრთება. სახის თეაღის გარშემო, განსაკუთრებით ნიკაას ქვემოთ, ღრმა წრდილი დაიტანება. ამ ერთფეროვანი მანერით შესრულებულ სახესე, აქა-იქ, ის კონკრეტული, სახასიათო დეტალებიც წნდება, რაც გარკვეულად აცოცხლებს ქტიტორის სახეს. თეთრას პატარა მონასმით გაცხოვლებული მეტყველი თეაღები ერთ ხა'სზე კი არ არის გაშლილი, არამედ მარჯვენა ოღნაე უფრო ფართოა, მეტად მომრგვალებულია თითქოს. ოღნაე უფრო გადიდებულია თეაღის კაკალიც და მზერაც, რომელიც ნეენსკენაა მომართული, უფრო წამიერია; წარბები შესამჩნევად შეატეორცნილია, უღეაშები სწორად გაშლილი. და კიდევ ერთი – სახის ამა თუ იმ ნაწილის მონახაზი შესამჩნევად მსხვილია და მოუხეშაეი, შეიძლება ითქვას, მკეეთრიც და, სულ ოღნაე, თითქოსდა საგანგებოდ უტრირებულიც.

ნიკოლოზ ნოლოყაშვილის პორტრეტში გამჟღავნებული სიციხოვლე რაღაც განწყობით დატეირთული შედარებითი კონკრეტულობა ნაკლებად თუ შეინიშნება იქვე, წრდილოეთ კედელზე, ახლა უკეე, ეკლესიით წარმოდგენილი ქტიტორის გამოსახულებაზე (ნახ. 7, სურ. 11). წარწერა აქაც მხედრულია: „ამა: საყდრისა: აღმაშენებელი: ერისთაეთ ერისთაეთ: და მანდატართ (sic) უხუცესი დადიანი გი[ორგი, შეუხდ[ოს] ღმ[ერ]თმ[ან]: ამინ“. წარწერით და ეკლესიითაც რომ არის წარმოდგენილი, გიორგი დადიანი აღმაშენებულია ტაძრისა. ტაძარი კი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული. ქტიტორის გამოსახულება ტაძრის აშენების თანადროული რომ არ არის, ეს ერთი შეხედვითაც ჩანს – მისი ფიგურა, წარწერაც XVII საუკუნის ოსტატის ნახელაეია. ეს ექეთ. თაყაიშვილისა და ეახტ. ბერიძის მიერ აღრეეე იქნა აღნიშნული და ახსნილიც⁹. მათი აზრით, გიორგი დადიანის ფიგურა უეჭველად განახლებულია, უფრო სწორად, მეორედ დახატული ძეველ, უკეე გადაცრეცილ კონტურზე სწორედ იმ დროს, როცა იქვე (სხეა, ძეველი ფიგურების ნაცულად) XVII საუკუნის მოხატულობის მთაეარ დამკეეთს, სამეგრელოს მთაეარს ლეეან II დადიანს წარმოგეივდგენდნენ სახლეულთან ერთად. ეს ასეა, ოღონდ ერთი, არც თუ უმნიშვნელო დეტალია დასახუსტებელი.

გიორგი დადიანი ტაძრის აშენების თანადროულად შესრულებულ, შერგილ დადიანისა და მისი მეუღლის ფიგურათა მსგავსად საკურთხეულისკენ სამი მეოთხედით კი არ არის ეედრებად მიმართული, არამედ უფრო მოგეიანო პერიოდის (დაახლ. XIV საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული) საქტიტორო პორტრეტისთვის დამახასიათებლად, ფრონტალურად დგას. ქტიტორის სამოსიც (კისერთან სამკუთხად ამოჭრილი, თეთრი გულისპირით გაწყობილი და წელში ოღნაე გამოყვანილი გრძელი კაბა) იმავე მოგეიანო საუკუნეებისთვის დამახასიათებელ თარგზეა აჭრილი. გვიანისთვის დამახასიათებელია სამოსის ორნამენტული სახეც (ეარსკელაეისებრ ორნამენტით მოწითული რომბები)¹⁰. იგივე ქტიტორის ფიგურის თანამდევე მხედრულ წარწერაზეც შეიძლება ითქვას. წარწერა ხომ მხედრულია და არა, ტაძრის აშენების დროისათვის დამახასიათებლად – ასომთაერული. ეს კი,

⁹ ექეთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, II, ტყ. 1914, გვ. 24; ეახტანგ ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, 77, 78.

¹⁰ ამგეარი სამოსი თითქმის ნეეულებრივია როგორც სამეყისკარო რიგის ძეველებში გამოყვანილ ქტიტორებთან (მაგ. ნიკორწმინდის XVII საუკ. მხატვრობაში), ისე კედლის მხატვრობის იმ გვიანა ნიშუშებში, რომლებიც ხალხურ ხელოვნებასაა ნაზიარები (გელათის წმ. ელიასა და იღუმის ეკლესიათა მოხატულობაში, წითელხეეშიც და სხეა).

იმ ვარაუდის უყულებას გეაძლევეს, რომ წარწერა გაცხივლებული კი არ არის ამ გვიანა პერიოდში, არამედ იშვამადაა შესრულებული.

დასასრულ მთავარისა და არსებითის – ფიგურის შესრულების მანერის შესახებ. ამ მხრივ საგულისხმო სურათს გეაძლევეს ერთიდაიმავე მხატვრული ფენის ორი ქტიტურის – გიორგი დადიანისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პორტრეტების შედარება. ორივე ფიგურა, მართალია, მკაცრად ფრონტალურად წარმოგვიდგება, მაგრამ თუ ერთგან – გიორგი დადიანთან – ფიგურა სტატიკურია, კედლის სიბრტყეზე სრულად „აკრული“. მეორეგან – შედარებით მოძრავია, შინაგანად შესამჩნევად დამუხტული. ამგვარ სხვაობას, არსებითად, ნახატის სხედასხვაგვარი ხასიათი უნდა წარმოქმნიდეს. ერთგან – გიორგი დადიანთან – ალბათ, რომელიღაც ნიმუშს მიდევნებულ და, ამდენად, შედარებით სუსტად გამოწერილი, ოღონდ უკვე სქემადქცეული და მეტ-ნაკლებად შესლუდული ნახატი. მეორეგან ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან – ის დამახასიათებელი ნახატი, რომელსაც სუსტი ნაკლებად თუ ვთქმის, თუმცა მოუხეშავე და, იმავე დროს, თავისთავადია, ძალდაუტანებელი, იქნებ თამამიც კი. აქედან ორი განსხვავებული შთაბეჭდილება: გიორგი დადიანთან სოკადობის პრინციპი მოქმედებს უფრო მეტად და გამოხედვაც ნეიტრალურია, განურჩეველი; ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან შედარებით კონკრეტულია, როგორც ითქვას, გარკვეულად რაღაც განწყობილებით დატვირთული, შეიძლება ითქვას, შემართულიც კი.

ერთხადაიმავე მხატვრულ ფენაზე ასახულ ქტიტორთა ამგვარი სხვაობა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთი – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - უშუალოდ ნატურიდან არის შესრულებული და, ამდენად, მის პორტრეტში, შუასაუკუნოვანი ხელოვნების პირობითობის ფარგლებშიც, მიღწეულია ის თავისებური სიციხივლე, რაც ნაკლებად თუ ნახს იქვე წარმოდგენულ მეორე ისტორიულ პირთან. ეს მეორე, როგორც ითქვას, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ისტორიული პირია – ხობის ტაძრის მთავარი ქტიტორი, ბედან (ბედიან) II-ის ძე გიორგი I დადიანი (დაახლ. 1270-1323 წწ)¹¹, რომლის პორტრეტი (იქნებ სახლუკლთან ერთად) ტაძრის აშენების თანადროულად (როგორც შერგილ დადიანისა სამხრეთ-დასავლეთით) სრდილო-დასავლეთ ეგვიპტურში უნდა ეოფილიყო გამოსახული. XVII საუკუნისთვის, როცა ტაძრის ძირითადი სივრცის მოხატვა განისრახეს, გიორგი დადიანის ფიგურა, როგორც ნახს, იმდენად იყო დაზიანებული, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი აღდგენა. ტაძრის ეს ნაწილი რატომღაც მეტად დაშავდა, თითქმის სრულად გაცამტვერდა სამხრეთ-დასავლეთი ეგვიპტისგან განსხვავებით, სადაც არა მხოლოდ ქტიტორთა ფიგურები, არამედ ნათლისმცემლის ცხივრების ამსახველი სკენებიცაა შემორჩენილი.

ხსოვნა „ამა საყდრისა აღმაშენებლისა“ – გიორგი დადიანის შესახებ, როგორც ნახს, ისე ძლიერი იყო, რომ ტაძრის მოხატულობით შემკობის თაოსანი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ამ ისტორიული პირის პორტრეტს კელაჟ წართავს XVII საუკუნის მოხატულობაში. ცნობილია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც რაიმე წვლილი შეიტანა ტაძართა შენებასა თუ მათ შემკობაში. მოხატულობით მისი თაოსნობით განახლებული ჯერის მონასტერი მისივე ნებით არა მხოლოდ წარსული საუკუნეების ქართულ მეფე-მთავართა გამოსახულებებით შემკო, არამედ იმ ისტორიულ პირთა პორტრეტებითაც, რომელთაც მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს ქართველთა მონასტერს¹². ასეა

¹¹ ეახტანუ ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-78.

¹² თამაზ ბერაძე, ოდიშის საერისთავო: სამეგრელო (კოლხეთი, ოდიში), თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 139.

¹³ Т.Б. Вирсаладзе, Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, თბ., 1974, გვ. 40-43.

ახლაც.გიორგი დადიანის პორტრეტი XVII საუკუნის მხატვრის მიერ განახლებული კი არ არის, არამედ თავიდანვეა დასახიათებელი ნიმუშის მიხედვით შესრულებული - იმჟამინდელ ქტიტორთათვის დამახასიათებელი დგომით, სამოსით, წარწერით და, რაც საგულისხმოა, არა იქ, სადაც თავიდანვე შეიძლებოდა ყოფილიყო გამოსახული, თავისივე ეგეტერის, ალბათ, ჩრდილოეთ კედელზე, არამედ მთავარ ქტიტორთათვის ტრადიციისამებრ განკუთვნილ, საკურთხეველის მიმდებარე ჩრდილოეთ კედელზე. ამასთან, ახლა უკვე ტაძრის ახლებურად მამკობის, სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის გვერდით.

ლევან დადიანისა და მისი სახლუელის (მეუღლე ნესტან-დარეჯანისა და შვილის მანუსარის) პორტრეტთაგან ამჟამად დრო-უკამისაგან გაცრეცილი ფიგურების მკრთალი სილუეტები გაიჩნევა მხოლოდ. კიდევ უფრო მეტად, თანამდგომე წარწერებითურთ არის დაზიანებული წელსზემით გამოსახულ თანამეცხედრეთა ის შეწყვილებული ფიგურები, რომლებიც ტაძრის დასაყდრეთ უბესაა შემორჩენილი (ნახ. 4). ფრაგმენტულობის მიუხედავად, ნახს. რომ ყველა ეს ფიგურა XVII საუკუნის ოსტატის ნახელაჲია¹³. XVII საუკუნესვე განეკუთვნება ჩრდილო-დასაყდრეთი კედლის ბურჯის აღმოსაყდრეთ მხარეს დაცული სასულიერო პირის პორტრეტიც - ასომთავრული წარწერით: „კათალიკოს[ი] [ი]ლარიონ“. ილარიონ მღვდელმთავრის პიროვნების დადგენა, თვითურა ჯოჯუას საგულისხმო გამოკვლევით, მხოლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი¹⁴. მეკლესიარის ეარაუდით, ილარიონს აფხაზეთის კათალიკოსო საყდარი 1657 წელს მიუღია. ლიხთიმურეთის მწვემსმთავრად მას მხოლოდ ერთი წელი მოუწია მოღვაწეობა. ამ ხნის მანძილზე მთელი მისი საქმიანობა ხობის მონასტერთანაა დაკავშირებული - აქაა მისი საკათედრო რეზიდენცია და გასაყებია, ხობის ეკლესიის ქტიტორთა შორის, სწორედ რომ ლევან II დადიანისა და მისი სახლუელის პორტრეტულ გამოსახულებათა მახლობლად - ისიც ყოფილიყო წარმოდგენილი¹⁵.

ეს თუ ასეა, მაშინ შეუძლებელია არ განხდეს კითხვა - 1657 წელს აფხაზეთის კათალიკოსად აღსაყდრებული ილარიონის პორტრეტული გამოსახულება როგორ მოხედა ხობის ტაძრის იმ რიგის მხატვრობაში, რომელიც იმავე XVII საუკუნის, ოღონდ შედარებით ადრეულ პერიოდში, 40-იან წლებშია ნიკიფორე სოლოყაშვილის თაოსნობით შესრულებული (შუაღუდი ხომ საკმაოდ დროს - დაახლ. 15 წელს მაინც მოიცავს).

მოხატულობის ამ ადგილის ზერედე მიხილვითაც ნახს, აქ რომ ნაღესობის ორი სხვადასხვა ფენაა ერთმანეთს დატანილი. ნახს (შედარებით თეალნათლიე კათალიკოსის გამოსახულების ქვედა მარცხენა მონაკეუთზე) მოხატულობის პირველადი ფენის დაკეწილი ზედაპირი და, უკვე მომდევნოდ, მსუბუქი ნაღესობით დაფარული ის ამჟამინდელი ზედაპირი, სადაც ილარიონ კათალიკოსის ფიგურაა გამოსახული¹⁶. სურათი ნათელია: აფხაზეთის კათალიკოსად ახლად არსეული

¹³ Г.В. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, თბ., 1979, გვ. 126.

¹⁴ თ. ჯოჯუა, XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven 4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უკნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ). საქართველოს სიძველენი, I, 2002, გვ. 131.

¹⁵ ამის უფლება ილარიონს კათალიკოსობის გარდა, იმათაც უნდა მოეპოვებინა, რომ მისი პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ლევან დადიანის გარდაცვალების შემდგომ განუთარებულმა მოვლენებმაც გვიჩვენა, მუდამ ლევან II-ის მხარდასაჭერად იყო მიმართული. თ. ჯოჯუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 131, სქოლიო 89.

¹⁶ მოხატულობის პირველადი ფენის მომდევნოდ შეღესვისა და გადაწერის კვალი, აქა-იქ, სხვაგანაც ნნდება - განსაკუთრებით კი საკურთხეველში მანდილიონის გამოსახულებასა და წმინდა მამების ფიგურებთან არის თეალნათლიე შესამჩნევი.

მღვდელმთავარი თავს უფლებას აძლევს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის თაოსნობით მოხატულ ტაძარში უკვე არსებული გამოსახულების სანაცვლოდ, და რაც ასევე საგულისხმოა, მცირედენი დროის დახანებით, თავისი პორტრეტული გამოსახულება წარმოგვიდგინოს. ამგვარი რამ არც თუ იშვიათია ჩვენი კედლის მხატვრობის მოგვიანო დროის (XVI-XVII საუკუნეთა) სხვადასხვაგვარ ნიმუშებში - ამ მხრივ სამკვლელოდ ვითვალისწინებთ, მარტვილის, გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთი მკვლავისა და იერუსალიმის ჯერის მონასტრის მოხატულობანი¹¹.

ესოდენ მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ტაძარმა ქტიტორთა მხოლოდ ეს რამდენიმე და ისიც, არც თუ სრულად შემორჩენილი პორტრეტი შემოგვიჩახა. ეს გამოსახულებანი აღრუელი საუკუნეების საქტიტორო პორტრეტისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, მეტად ექვემდებარება საუფლო დღესასწაულთა ამსახველ სკენებს და, ამდენად, ნაკლებად თუ გამოირჩევა მთლიან მოხატულობაში. აღბათ, ამიტომაცაა ტაძრის ინტერიერის ამჟამინდელ მხატვრულ სახეს არსებითად მოგვიანო დროის ის მოხატულობა რომ განსასწავლავს, სადაც თეოლოგიური ციკლია გაშლილი.

ხაბის ტაძრის ხუროამოდგურულ თავისებურებაზე ხეშოთაც ითქვა. ითქვა ისიც, თუ რა შესამჩნევად მაღალია ამ თავისებური ნაგებობის შუანა ნაეი. მაღალია საკურთხეველიც, ხაზგასმულად ფართო ბემით წარმოდგენილი (ნახ. 1-2, სურ. 1-2). მხატვრობა ტაძრის ამ მონაკვეთში ხუთ რეგისტრს ითულის. კონქში ღმრთისმშობელია ყრმით, ორ მთავარანგელოზს შორის დიდებით გამოსახული. ღმრთისმშობლის დიდება არა მხოლოდ სახოვნად, შეიძლება ითქვას, სრულიად უხვევლოდ, სიტყვიერადაც არის გამოთქმული - ბერძნულად შესრულებული უფლის ხათაყვანებელი სიტყვებით ხაზგასმულად დადასტურებული: „აგიოს, აგიოს, აგიოს“. ამას ისიც ემატება, საკურთხეულის მოხატულობის მეორე, შესამჩნევად ეწრო რეგისტრად ანგელოზთა თაყვანისცემა რომ წარმოგვიდგება, რომელსაც ორი სახის ზიარება მოხდევს.

მომდევნო რეგისტრად, ტრადიციისამებრ, ცენტრისკენ მიმართული წმინდა მამები გამოსახულებანი - სამ-სამი როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. დასასრულ, საკურთხეულის სამი ხარკმლის ქვეშ უხვევლოდ ვიწროდ გაშლილი რეგისტრია, სადაც ორსავე მხრიდან ათით ტეტრამორფით შემოსასწავრული მანდილიონია წარმოდგენილი.

საკურთხეულის ხუთ, არათანაბარ რეგისტრად დაყოფა, მისი საკმაოდ აზიდული პროპორციების მოუხედავად, შესამჩნევად ანაწევრებს სახურათე სიბრტყეს. უოველ რეგისტრზე სხვადასხვაგვარ მოძრაობაში წარმოდგენილ ფიგურათა მრავალრიცხოვნებაა. ფორმა დანაწევრებული უფროა, ვიდრე მთლიანი. უერიც უსახურია, კარბად თეთრანარევი. ფონი საკონქო კომპოზიციისა ორფერია: ზეციური ნაწილი მღვრთე ცისფერია, მწიერი ზოლი კი, ღია აგურისფრად დაფერილი. ღმრთისმშობლის ფართო ტახტი უცნაურ რაკურსად ჩნდება კედლის სიბრტყეზე. ტახტი ძვირფასი ქვებით მორთული როდია მხოლოდ, მასზე მონაცრისფრო-ცისფრად დაფერილი და მოკლე-მოკლე სამყური ზოლით მარტულად დეკორირებული საფენიც არის გადაფარებული. ღმრთისმშობლის სამოსი ტრადიციულია, ყურადღოვნება გვიანი დროისათვის დამახასიათებელი: მაფორიუმი მუქი აგურისფერია, სტოლა კი თეთრანარევი მოღურჯო ფერისა. თეთრანარევია ყრმის სამოსიც, მოყვითალო-მონაცრისფროდ მსუბუქად დაფერილი.

სამთავარანგელოზთა კურთხითა და სყუროთი წარმოდგენილი მთავარანაგუ

¹¹ Т. В. Вирсавадзе, Роспись иерусалимского... გვ. 86; ნ. ჩიხლაძე, XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა გამოსახულებანი მარტვილის კედელში. შამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუსეუმის ხარკვები, III, გვ. 104-114; ი. ხუსკივაძე, ქართულ კედელთაათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, თბ., 2003, გვ. 84.

ლოზები უნეულოდ მჭიდროდ ეკერიან ღმრთისმშობელს. მათი შარავანდები მუქი მოყვითალო ოქრისფერია. ოქრისფერია სფეროებიც, ღორღონიც ძვირფასი ქვებით მდიდრულად მოაჭვილი. რაც შეეხება სამოსს, აქ, სვეულებსამებრ, ფერთა მარტივი მონაცვლეობაა: თუ ერთგან (გაბრიელ მთავარანგელოზთან) მოსასხამი ღურჯი, ხოლო კაბა თეთრანარევი მოწითალო ფერისაა, მეორეგან, პირიქით – კაბაა ღურჯით, ხოლო მოსასხამი ბაცი მოწითალო ფერით დაფერილი.

ანგელოზთა მსახურება-თაყუანისცემის ამსახველი სცენა, რომელიც სარტყულისებრ ეკერის საკონქო კომპოზიციას, მართალია, ცალკე რეგისტრად გამოიყოფა, მაგრამ კომპოზიციურად ისეა გაშლილი, რომ საკონქო კომპოზიციასთან ერთად იქნას მოაზრებული. ყოფი ამ ეიწროდ გაშლილი სცენისა, ახლა უკვე, სამყურად არის დაფერილი: ზეციერ მოციხფრო და მიწიერ აგურისფერთა შორის მოყვითალო ოქრას უსახური ზოლია ეიწროდ მოქცეული. ამგვარ ფონზე თითის წვერებზე შემდგარი, ოდნაე ნაცუცქული, თეთრად მოსილი და სანახევროდ ყრთაგაშლილი ანგელოზები ერთმანეთის პირისპირ არიან გამოსახული – ოთხ-ოთხი, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

საკურთხეულისკენ მიმართული მზერა ოდნაე ქვემოთ, სარკმელთა ორსაე მხარეს გაშლილი სცენისკენ გადაინაცვლებს, სადაც დღეისათვის მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შემორჩენილი ასომთაურული წარწერა ჩნდება: ჯერ – „...გატეხილი მოსატევებლად ცოდეთ[ა] ამინ“, შემდეგ კი – „სუთ [სეთ] ამისგან ყოველთა ესე არს სი[ს]ხ[ლ]ი მოსატევებლად ცოდეთა [ამინ]“.

ზიარების ამსახველ ამ შესამჩნევად ფართოდ გაშლილ რეგისტრს, ფონად მთელს სივრძეზე გასდევს შუაში გამორჩეულად ამაღლებული სალხინებლის აღმნიშვნელი თაღი. მაცხოვარი მღვდელმთაერის სამოსით წარმოგვიდგება. მისკენ, ამ ფროზისებრ გაშლილი კომპოზიციის ორსაე ფრთიდან მსუბუქი მოძრაობით მიემართება თეთრად მოსილი მოციქულთა ჯგუფი. ერთი შეხედვით, თითქოსდა ბუნებრივია მოციქულთა მოძრაობა, ერთიერთდამოკიდებულება, მოძრაობის მიმართულებით განვითარებული მსუბუქი რიტმი და მხოლოდ ერთგან, სადაც სარკმელთა რიგით კედლის სიბრტყეა დანაწევრებული, მომხატველმა ოსტატმა ვერ შეკლო წინა ორი ფიგურის – მაცხოვრისა და მის წინ ზიარებად მდგომი მოციქულის ერთმანეთთან დაკაეშირება, რითაც შესამჩნევად დაირღვა ამ ორნაწილიანი სცენის ერთიანი კომპოზიციური ქარგა.

ზიარების სცენის ზომისაა ის მომღვენო რეგისტრიც საკურთხეულის მოხატულობისა, სადაც, როგორც ნეულებრიე ხდება ხოლმე, წმინდა მამების სამ-სამი ფიგურაა გაშლილი გრაგნილებით წარმოდგენილი. მათგან ორი, უშუალოდ სარკმლის მარცხნიე და მარჯვნიე მდგომი, ფრონტალურად ჩანს, მომღვენონი – სამმესოთხედში. თანამღვეი წარწერები ამ ფიგურებისა ქართულია, ასომთაურული, ხოლო გრაგნილთა მინაწერები ბერძნულად შესრულებული. პირველი ორი, სამონასტრო მხატვრობის შესატყვისად, „წმინდა ანთონი“ [ანტონ დიდი, სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი] და „წმინდა საბაა“ [სამონასტრო ცხოვრების რეფორმატორი], რომელთაგან გრაგნილის წარწერა მხოლოდ ერთგან წმინდა საბასთან იკითხება: „ააგე სენაკი შენი [მონაზონო და სხეა სენაკს ნუ მიუახლოედები]“. მომღვენოთაგან წარწერა ერთადერთგან იკითხება. ეს წმ. იოანე ოქროპირია, რომლის გრაგნილსეც ფრაგმენტულად ჩნდება ბერძნული წარწერა: „განსაკუთრებით ყოელად წმინდისა უბიწოსი, კურთხეულისა“¹¹. რაც შეეხება მანდილიონს, ის, როგორც დაყინაჩაუთ,

¹¹ ხობის ტაძრის მოხატულობის ყველა ბერძნულენოვანი წარწერის თარგმანი მოტანილია თინათინ ყაუხჩიშვილის ნაშრომის მიხედვით: – „ბერძნული წარწერები საქართველოში“, 1951, გვ. 75-86.

საკურთხევლის მოხატულობის კონტექსტში მოაზრებული იკონოგრაფიული რედაქციით, თავიდანვე წარმოგვიჩენს ტაძრის მთლიანი მოხატულობის თეოლოგიურ სახრისს.

საკურთხევლის იკონოგრაფია, ერთი შეხედვით, ტრადიციული სქემის ფარგლებშია მოქცეული. ოღონდ დაკვირვებისას ისიც ნახს, გვიანი საუკუნეებისთვის არც თუ დამახასიათებელი რამდენიმე მოტივიც რომ არის ხაზგასმულად წარმოჩენილი. ერთი ასეთი არგელაშთა მსახურება-თაყუანისცემაა. ჩვენს მხატვრულ სინამდვილეში განსაკუთრებით აქვს XIV საუკუნის მოხატულობიდან ცნობილი ეს ტიპური პადეოლოგოსური მოტივი მსახურებისა, საკმაოდ გაერცვლებულია ბიზანტიური წრის ძეგლებში – სამაგალითოდ ტრაპეზუნდის აია სოფიის მოხატულობის გახსენებაც კმარა.

საგულისხმოდ ჩნდება მანდილიონის თემაც. ორსავე მხარეს თითო შარავანდ-მოსილი ტეტრამორფით წარმოდგენილი პირი ღმრთისა საკურთხეველში, ტრაპეზის თავსუა განთავსებული¹⁹. გასათვალისწინებელია ისიც – ამ შემთხვევაში პირი ღმრთისა მხოლოდ მაცხოვრის სახეს კი არ გადმოცემს, როგორც ეს ბიზანტიურ სახეით ხელოვნებაშია დიდად გაერცვლებული, არამედ უფრო ფართოდ, მის მკერდსუეითა გამოსახულებას. ამგვარად მოაზრებული ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული რედაქცია, არსებითად, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისთვისაა ნიშანდობლივი – განსაკუთრებით გაერცვლებულია იგი ჩვენი ტაძრების XII-XIII საუკუნეების მოხატულობაში (იქვსა – XII საუკ. დასაწყისი და ფაენისში – XII საუკ. პირველი ნახევარი, ტიმოთესუბანსა – XIII საუკ. პირველი ათწლეული და ოსაანში – XIII საუკ. დასაწყისი, შიომღვიმის ჯვართამაღლების ეკლესიის მოხატულობაში – XIII საუკ. შუა წლები და სხვა)²⁰. ეს ნიშნავს, რომ ხობის მოხატულობაში წარმოდგენილი პირი ღმრთისა არა მხოლოდ ტიპოლოგიურად ამკორებს ქართულ ძეგლებს, არამედ ქართულისთვისეუ დამახასიათებელ განთავსების, ადგილის შერწყმის ტრადიციასაც (მათ ანალოგიურად ისიც ხომ საკურთხეველში, სწორედ რომ ტრაპეზის თავსუა წარმოდგენილი). ჩვეულებრივ ტრაპეზის თავსუე გამოსახული ხელთუქმნელი ხატი, უპირველეს ყოვლისა, მაცხოვრის მსხვერპლის მნიშვნელობას გულისხმობს²¹. თუმცა აქვე ისიც ხომ არის ხატი განკაცებისა ტეტრამორფებს შორის რომაა გადმოცემული²², რითაც იგი თეოფანიურ იერს იძენს და რასაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს, გვიანი საუკუნეების (XIV საუკუნისა და შემდგომი პერიოდების) მანდილიონებისთვის მეტად დამახასიათებელი, მაცხოვრის

¹⁹ ხელთუქმნელი ხატის ტრაპეზის თავსუე განთავსებას საგანგებო წერილი უძღვნა ქეთევან მიქელაძემ: ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ქართულ ეკლესიის მხატვრობაში. დიტირატიურა და ხელოვნება, 3, 1991.

²⁰ ე. გელაქანიშვილი, პირი ღმრთისა ქრისტიანული აღმოსაველეთისა და დასაველეთის ხელოვნებაში (მანდილიონი და წმ. ეფრონიკას ხატი). ხელოვნებათმცოდნეობის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, 2003, გვ. 98.

²¹ ამ სიმბოლურ კონტექსტს მანდილიონის კონსტანტინეპოლში გადასვენებისადმი მიძღვნილი ქადაგების ტექსტი განმარტავს – დიდმარხვის დროს ედესის ხატის სკოფილაკიონიდან საკურთხეველში გადატანა და ტრაპეზსუ დასვენება სიმბოლურად დიდი გამოსვლისას წმინდა ძღვენის საკურთხეველში მიბრძანებას ეკავშირდება. ხატი მაცხოვრისა პირდაპირ მსხვერპლადაც კი იწოდება.

²² ქართულ ძეგლთაგან ტეტრამორფებს შორის გამოსახული მანდილიონი გვხვდება XII საუკუნის ცალდაშისა და წვირმის მოხატულობაში; ამასთან, XIII საუკუნის ე.წ. ლობკოვის რუსულ ხელნაწერში. აქვე ე.წ. მარია ტვერელის მანდილიონიც უნდა აღინიშნოს XV საუკუნისა.

შარაენდის ჯერის ძეგლებში დატახილი, ძველი აღთქმის ტექსტის დაქარაგმებული ბერძნული წარწერა: „მე ვარ, რომელი ვარ“.

დასასრულ, თუ მთლიანობაში მოვიასრებთ საკურთხეველის მოხატულობას, მაშინ უმთავრესიც წარმოინდება - ღმრთისმშობლის დიდებასთან ერთად (რაც საკურთხეველის მოხატულობაში გამოჩნეულადაა ხაზგასმული) გამოსახული ხელთუქმნიელი ხატი განკაცებისა და მაცხოვნებელი მსხვერპლის დოგმას ნათელყოფს².

იგივე თეოლოგიური თემა ტაძრის მთლიან მოხატულობაში, შესაძლოა სიღრმისეული შრეების მეტი დატვირთვით, მაგრამ მაინც ნათლად არის გამოკვეთილი, თანმიმდევრულად განუითარებულიც.

მრავალი სიუვეტური კომპოზიციის მომცველი, შესამხნეველ დრმა ბქმა ნეენი ტაძრისა საგანგებო მნიშვნელოვნებით წარმოგვიდგენს ერთმანეთის მოპირდაპირედ ფართო რეგისტრად გაშლილ ორ კომპოზიციას: ჩრდილოეთით - „ჯოჯოხეთის წარმოტყუენას“, ხადაც, სხვათაგან განსხეეებით, ახლა უკვე, ასომთავრულით მონიშნული წარწერა „აღდგამა“ იკითხება, ხილთ სამსრეთით - „გვერდის განხილუას“ (იგივე „თომას დარწმუნება“) ანუ მოციქულთა მიმართ უკვე აღმდგარი და გამარჯვებული ღმერთის ხილუა-მოუღინებას. აღდგომის ხატება, როგორც ქრისტეს მოუღინების საბოლოო მიზნის განხორციელება, სახოენად აგვირგეინებს საკურთხეველში ღმრთისმშობლის დიდებასთან ერთად იკონოგრაფიულად გამახვილებულ, განკაცებისა და მსხვერპლის თეოლოგიურ დოგმას.

ორივე ხსენებული კომპოზიცია ფრიზისებრ არის გაშლილი; ორივე ფრანტაღურთა; ორივეგან ამკარად ნნდება კომპოზიციური ცენტრის გამახვილება და მის ორსავე მხარეს მოქცეული ფრთების წინასწორობა.

„ჯოჯოხეთის წარმოტყუენის“ სცენაში ასახული მაცხოვარი ნათების ორფერი სოლითაა მოცული, მსუბუქი მოძრაობით სამმუოთხედში შებრუნებული. ორივე ფეხით ქადესის დანგრეულ კარიბჭეს ებჯინება, მარჯვენათი ადამი ამოქეებს ქვის სწორკეთის ხარკოფაგიდან, მარცხენა ეუასთვის ნაუელთა. ორივე - ადამიც და ქეაც წელსეით ნანან. მათ გარშემო, ამ თემის მომცველ გვიანსაღლოლოგოსური ნიშნუებისთვის დამახასიათებლად, ერთმანეთის მიმართ სხეადასხეაგეარ მოძრაობაში ნნდებიან მეფე წინასწარმეტყუელი დაეთი, სოლომონი, წმინდა ითანე ნათლისმცემელი და სხვანი და სხვანი.

იგივე კომპოზიციური წეობა „გვერდის განხილვის“ სცენაშიც მოიხილება. „დახშული კარიბჭის“ წინ ხელაპერობილი ქრისტე დგას. იქვე წელში ძლიერად მოხრილი თომა მოციქულია ქრისტესკენ მიმართული, რომელიც მოხრილი თითით ეხება მის ფერდს. მათ ორსავე მხარეს მოციქულთა მოძრაეი ჯგუფია ფრიზისებრ განლაგებული - ექეს-ექესი როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ფონი ორივე სცენისა თეთრანარევი ცისფერია. ამგეარ ფონსე რიგმული მონაცვლეობით ნნდებიან მოციქულთა სამოსის თბილი და ცივი ფერის დოკადური ლაქები: თეთრანარევი ღურჯი, სხეადასხეა სიძლიერის მოყეითალო და მოწითალო ოქრა და მხოლოდ ერთგან, მოხატულობის მხოლოდ მცირე მონაკვეთსე, უცხოდ იკითხება უკიდურესად გაღიაეებული მომწეანო ფერი.

ამ ორი, ბქმისეული საუფლო სცენის სოგადი აღწერითაც ნანს, გეიანბაღლოლოგოსთა მხატვრული შემოქმედებისთვის არცთე დამახასიათებლად, რაოდენ მარტიეია მათი კომპოზიციური ქარგა (ცენტრის გამახვილება, ფრთების შედარებითი

² ღმრთისმშობელთან ერთად წარმოდგენილი პირი ღმრთისა, ისეე და ისეე, შედარებით ადრეული დროის ძეგლებში იქებნება: XIII საუკუნის კახრეთისა და ამავე XIII საუკუნის მიწურულის კონცეისის ღმრთისმშობლის ტაძრის მოხატულობაში.

წინასწარობა). ეპოქისეული კი აქ უფრო მეტად ფიგურების მკვეთრი მოძრაობითა და ფერთა ხაზგასმულად რიტმული მონაკლებლობით არის წარმოსენილი.

ყოველი მომღეწო სცენა სეენს მოხატულობისა, თითქმის უცვლელად, ამგვარივე სქემითაა აგებული.

ბემის სელა როგორც ამ ორი სიუჟეტური კომპოზიციის მიმდებარე, ისე ცენტრალური ნაგის კამარის სამხრეთი და ჩრდილოეთი ფერდი მთლიანად ეთმობა ღმრთისმშობლის დაუჯდომელის („აკათისტოს“) ანუ „იბაკონისა“ და „იკოსნის“ მომცველ სცენებს²⁴ (ნახ. 2,4-5, სურ. 7). „აკათისტოს“ მთლიანი ციკლიდან კედლის ამ მონაკვეთზე მხოლოდ ექვსი სცენაა წარმოდგენილი. ორ თანაბარ რეგისტრად განლაგებული, თანაბარი სომის მომღეწო სცენები „ღმრთისმშობლის დაუჯდომელისა“ ცენტრალური ნაგის მოვლს სივრცულად გაგრძელება, ოღონდ ისტორიული თანამიმდევრობით, ერთმანეთის მომღეწოდ კი არა, არამედ შექიპრისპირებულნი – ერთმანეთის პირისპირ ნაწილდებიან ბემისა და კამარის ჩრდილოეთისა და სამხრეთ ფერდზე. რასაც მხატვრობის ამ მონაკვეთების აღქმის პრინციპში თავისებური დინამიკურობა შექმნის. საგულისხმოა ისიც, რომ დაუჯდომელის ჯიშის სახეობად წარმოდგენა სეენი ტაძრის მოხატულობაში ხარების სცენის, ღვთაებრივი სიტყვის განსხეულების წინასწარუწყებით კი არ იწყება (შესაბამისად პირველი და მეორე იკოსითა და მეორე კონდაკით), არამედ „აკათისტოს“ მესამე კონდაკის („ძალი მადლისა“) დასურათებით – კომპოზიციით, რომელიც უბიწოდ ნასახვის სიმბოლურ ხატებას წარმოგიდგენს. ამ თანამიმდევრობის „დარღვევით“ თავიდანვე ძირითადი მახეილი, რაც ტაძრის მთლიანი მოხატულობის არსებითი სასრისის ახსნისას კიდევ უფრო გამკლავდება, განდიდებული ღმრთისმშობლის სახეიმო წარდგინებასა გადატანისა.

1. „ძალი მადლისა“ [კონდაკი 3]. ბერძნული წარწერით: „ძალი უზენაესისა“²⁵

²⁴ ღმრთისმშობლის სასაღვობო-საგალობელის – ღმრთისმშობლის დაუჯდომელის (ბერძნ. „აკათისტოს“) შექმნის VII-VIII საუკუნეებში ვარაუდობენ. მისი ქართული თარგმანი ეკუთვნის XI საუკუნის უცნობ მთარგმნელს, რომელიც საგალობელს ბიზანტიულ მიმლოგრავს რომაზოზ მელოდოსს მიაწერს (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტურჯიკურის ისტორია, თბ., II, 1949, გვ. 429).

ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა შესაბამისი ნაწილით იხსნება („სეშთა მბრძოლისა ნემოსათს...“). ესაა ქალწული მარიამისადმი მიძღვნილი, შედარებით მოგვიანებით წარმოქმნილი სამაღლობელი ჯიშის, რომელიც ხაკლებად თუ უკავშირდება ნაწარმოების ძირითადი ტექსტის შინაარსს (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 425). თვით ნაწარმოები თორმეტი დიდი (იკოსი) და თორმეტი მცირე (კონდაკი) სტროფისგან შედგება. ასე რომ იბაკონისა და იკოსთა საერთო რიცხვი, ბერძნული ანბანის ასოთა რაოდენობის შესატყვისად, ოცდაათია. აქედან 12 სტროფი ისტორიული თანამიმდევრობით წარმოგიდგენს ხარებიდან მიტქმალე განვითარებულ მოვლენებს, მომღეწო 12 სტროფი კი დოკმატიური ხასიათისაა, სადაც ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის ორმაგი ბუნების საიდუმლოს გამკლავებით, არსებითად, ხსნის ქრისტიანული ბუნებაა წარმოსენილი. უნდა ითქვას ისიც, რომ ყოველ იკოსს რეჟერენად გასდევს სადიდებელი სიტყვები: „გიხაროდენ სხალი უსკლო“, ხოლო კონდაკებს - „აღიდეკია“. იკოსთა სწორედ რომ ამ გარკვეული წესით განმეორებული სიტყვების, ამ თუ შეიძლება ითქვას, მისამღერის მემკვიდრით დაუჯდომელის მთელ ტექსტში ხატოვნად წინდება ხარების - ღვთაებრივი სიტყვის განკაცების სახარებისეული თემა. ღმრთისმშობლის სამაღლობო-საგალობელი დაუჯდომელის შაბათს იგალობება ცისკრად (დიდი მარხვის შეიდეულის შაბათს, ხარების დღესასწაულის დასაწყისში).

„აკათისტოს“ ტექსტი იხ. მაგ. „დაუჯდომელი უფროსად ქრისთეულისა დიდებულისა დუდოყლისა სეენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“, დოცკიანი, ახალციხე, 1995, გვ. 123-136.

²⁵ „აკათისტოს“ სცენათა განმარტებით ბერძნულ წარწერათა ქართული თარგმანები მოტანილია თინათის ყაუხჩიშვილის დასახ. ნაშრომის მიხედვით.

წმინდა ქალწული ტახტზე სის. მის ორსავ მხარეს თითო ანგელოზი დგას, რომელთაც ღმრთისმშობლის ზურგს უკან მოქცეული, დიდი და ფართო სახეეული („ეკლესიასა შინა რისამე ოთხკუთხა გადასაფარებელი“) უკირაეთ სრულად გახსნილი სემოდან ქვემოთ.

2. „მხედველი წმინდა“ [კონდაკი 2]. ბერძნული წარწერით: „წმინდა ღმრთისმშობელი მხედველი“.

წმინდა ღმრთისმშობელი ტაძრის ფონსეა გამოხახული. ის ხელის დამახასიათებელი ვესტით სის მთაყარანგელოზის წინაშე. გაბრიელ მთაყარანგელოზი მარჯვენით აკურთხებს, მარცხენა ხელის მოძრაობა არ გაირჩევა.

3. „ანგელოზი წინამდგომი“ [იკოსი 1]. ბერძნული წარწერით: „ანგელოზი წინამდგომი“.

მოქმედება ქალაქის ფონსეა გაშლილი. წმინდა ღმრთისმშობელი ფეხზე მდგომია გამოსახული. სეციოთ გარდამოსული მთაყარანგელოზი ღმრთისმშობლის წინაშე დგას და მარჯვენით აკურთხებს. მარცხენა ხელის მოძრაობა მთაყარანგელოზისა აშკარად არ იკითხება.

4. „ცნობისა უცნაურისა“ [იკოსი 2] ბერძნული წარწერით: „უცნაურის ცნობა“ (სურ. 5)

მთაყარანგელოზი ტაძარში დგას და მარჯვენით სეცას მთანიშნებს. მარცხენაში შროშანის ტოტი უპერია. მის წინაშე წმინდა ქალწულია დახოქილი - ორივე ხელი მორხილების ნიშნად მკერდს უხვევია.

ბემაში ასახულ ამ ოთხ სცენათაგან პირველი, როგორც ითქვა, ანგელოზითა მიერ ღმრთისმშობლის, „ღვთაებისა და უტყუარებისა დამტყუარების“ განდიდებაა: ხოლო მომდევნო სამი - ხარების სცენის სიუჟეტური ვარიაციაა, სადაც განსაკუთრებით გამახვილებულია განკაცების თემა.

ბემიდან თხრობა ტაძრის კამარის სამხრეთ ფერდსე გადაინაცვლებს. პირველი მათ შორის მესამე იკოსია.

5. „მქონებელი ღვთის-შემწენარებლისა“ [იკოსი 3].

ტაძრის ფონსე ერთმანეთს ხედებიან და ერთმანეთს ესაუბრებიან წმინდა მარიამი და წმინდა ელისაბედი.

6. „ღვლვისა შინაგან მქონებელი“ [კონდაკი 4] (სურ. 6).

მოქმედება ინტერიერშია გაშლილი. წმინდა მარიამი იოსების წინაშე დგას. იოსებს მარჯვენა წმინდა მარიამისკენ აქეს გაწედილი. მხერით კი - კამარის ცენტრში „ჯერის ამაღლების“ გასწერივ გამოსახული „ცის სფეროს ამაღლების“ კომპოზიციისკენ არის მიმართული.

7. „ესმა მწვემსთა“ [იკოსი 4]. ბერძნული წარწერით: „ესმა მწვემსთა (ანგელოზთა მგალობელთა)“.

ეს იკოსი ისევე გამოხახება, როგორც მოგვთა თაყვანისცემის გარეშე წარმოდგენილი „შობა უფლისა“. მოხატულობის ამ მონაკვეთის დაწიანების მიუხედავად, ნახს მთების სილუეტები; წილი და ბაგის ბინადარნი; წმინდა ღმრთისმშობლისა და იოსების ფრაგმენტულად შემორჩენილი ფიგურები. კომპოზიციის მარცხენა ფრთასე ორი მწვემის ფიგურაც გაირჩევა.

8. „ღმრთიუმეაღლისა ვარსკელავისა“ [კონდაკი 5]. ბერძნული წარწერით: „ღმრთიუმეაღლისა ვარსკელავისა (მხედველნი მოგუნი.....)“

სეციოთ გადმოდის უფლის ვარსკელავის სხივი, მის ქვეშ მთების ფონსე ამხედრებული მოგეები ვარსკელავს მთანიშნებენ ერთმანეთს.

9. „იხილეს ერმათა ქალდეველთა“ [იკოსი 5]. ბერძნული წარწერით: „იხილეს

ყრმათა ქალღეველთასა ხელთა 'ხელა ქალწულისათა'

წმინდა ქალწული მღვიმის წინ ზის, ხელთ ჩეილი უკერია. მის უკან იოსები დგას. მოგეები ძღვენს მიაერთმევენ მოელენილ ღვთის ძეს. მოგეთა მიერ ჩეილისადმი ძღვენის მირთმევა ხაზგასმულად ჩვენზე, დემონსტრაციულად მჭერეტულზეა გამიზნული.

10. „ქადაგ ღმერთშემოსილ-ქმნილნი“ [კონდაკი 6]. ბერძნული წარწერით: „ქადაგ ღმერთშემოსილ-ქმნილნი მოგუნი“

მსხეილი ხელით მოჩანს მოგეთა მასშტაბური, ბაბილონის ბჭესთან გეურდიგეურდ ფრონტალურად მდგომი სამი ფიგურა. რომელთაც ცალი ხელი ზეაწედილი აქეთ. მათ ორსავე მხარეს შედარებით მომცრო ორ-ორი თავაწეული ფიგურა დგას, რომლებიც მზერით ზეცისკენ არიან მიმართული.

მომღვენო მე-6 იკოსისა და მე-7 კონდაკის, მე-7 იკოსისა და მე-8 კონდაკის მომცველი ილუსტრაციები ბემის სამხრეთისა და ჩრდილოეთ ფერდზე, ზემოთ უკვე ნახსენები წესით, თანმიმდევრული შეპირისპირებითაა გამოსახული.

11. „გამობრწყინდა რა ეგვიპტეს“ [იკოსი 6]. ბერძნული წარწერით: „გამობრწყინდა რაი ეგვიპტეს შინა“.

წარმოდგენილი სცენა ისევეა გამოსახული, როგორც „ეგვიპტედ ლტოლვა“. ამხედრებული წმინდა ღმრთისმშობელი ჩეილით; ლტოლვილთ მეგზურად ანგელოზი მიუძღვება; იოსები, რომელსაც პატარა ხონია მხარზე გადებულ ჯოხზე აქვს ჩამოკიდებული, ფეხდაფეხ მისდევს სახედარს.

12. „ეგულებოდა რა სვიმეონს“ [კონდაკი 7]. ბერძნული წარწერით „მირქმა“.

წარმოდგენილი სცენა იმგვარადვეა წარმოდგენილი, როგორც „მირქმა“. კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია სალხინებელი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ ორ-ორი ფიგურაა: ჯერ, მარჯვნივ - სვიმეონისკენ ხელგაწედილი ღმრთისმშობელი და მის უკან მდგომი იოსები; შემდეგ კი - ჩეილითურთ წინ გადახრილი სვიმეონი და მის უკან მდგომი ანა წინასწარმეტყველი. ანას გრაგნილზე ბერძნულად იკითხება: „ამ ყრმამ დაამტკიცა ცა და ღელამიწა [ახალი აგებული გუენუნა გამოჩნდა რაი ამგებელი]“.

13. „ახალი აღგებული“ [იკოსი 7].

წარმოდგენილი სცენა იმნაირადაა გადმოცემული, როგორც მაცხოვრის ამადლება. ნათების ზოლით გაბრწყინებულ მაცხოვარს ორი ანგელოზი აამაღლებს. ამაღლებულ მაცხოვარს თვალს მიაღვენებს მოციქულთა ჯგუფი.

14. „უცხოთა შობისა“ [კონდაკი 8].

აღსაყდრებული ჩეილელი ღმრთისმშობელი ღირს მამებთან ერთად არის გამოსახული. ღირს მამათა ერთი (მარჯვენა) ჯგუფი წმინდა ღმრთისმშობლისკენ ეედრებად არის მიმართული.

მომღვენო თხრობა ბემიდან ცენტრალური ნაეის კამარის სამხრეთისა და ჩრდილოეთ ფერდზე გადაინაცვლებს და იქვე გასრულდება.

15. „ყოულად იყო ქეუქანასა ხელა“ [იკოსი 8].

სცენა ტრადიციისამებრ ორ რეგისტრად არის გაშლილი: პირველი, ზედა რეგისტრი მაცხოვრის ამადლების კომპოზიციის მომცველია; მეორე რეგისტრი კი - ანგელოზთა დასს წარმოგვიდგენს ემანუილით.

16. „ყოველი ბუნება ანგელოზთა“ [კონდაკი 9]. ბერძნული წარწერით: „ყოველი სიბრძნე“.

მოების ფონზე ფრონტალურად წარმოდგენილი ანგელოზთა დანი სურათებით.

17 „რიტორთა მრავალ-ხმათა“ [იქოსი 9]. ბერძნული წარწერით: „რიტორთა მრავალთ“.

ამ იქოსის ამსახველი სცენა დრო-ჟამისაგან ყველაზე მეტად არის დაზიანებული. აქა-იქ რამდენიმე მამაკაცის ფიგურისა და მათი ქედების კონტურული მონახასი გაირსევა მხოლოდ (თინათის ყაუხნიშვილი მათ ბერებად მიიხსენეს).

18. „ცხოვრება რა სოფლისა“ [კონდაკი 10].

ბერძნული წარწერით: „ცხოვრებაჲ რაჲ სოფლისა იხებე (შემოქმედმან)“.

ქალაქის ფონზე კუროთხევად გაშლილი ორივე ხელით გამოსახული მაცხოვარი მოციქულთა ჯგუფით.

19. „სღუდე ხარ ქალწულთა“ [იქოსი 10]. ბერძნული წარწერით: „სღუდე ხარ ქალწულთა (ღმრთისმშობელი ქალწული)“.

ჩვილელი ღმრთისმშობელი მათეოდრებელ ქალწულთა ჯგუფთან ერთად არის წარმოდგენილი. ღმრთისმშობლის მეკრდთან გამოსახული მაცხოვარი ორივე ხელით აკუროთხებს წმინდა დედათა ჯგუფს.

20. „გალობა ყოველი იძლევის“ (კონდაკი 11). ბერძნული წარწერით: „გალობაჲ ყოველი იძლევის“.

ღრუბელთა ფონზე ფართოდ გაშლილი ორივე ხელით დგას მაკუროთხეველი მაცხოვარი. წინ საწიგნე უდგას, რომელსედაც საღუთო სჯულია გადაშლილი.

ღმრთისმშობლის დაუჯდომელის 24 სტროფის ილუსტრაციიდან ჩვენი ტაძრის ცენტრალური ნაიის ბემასა და კედელ-კამარებზე, როგორც დაუინახეთ, 20-ია წარმოდგენილი. ეს იმდენად დიდო და მნიშვნელოვანი ნაწილია მთლიანი მოხატულობისა, რომ საკუროთხეველის მხატვრობასთან ერთად, არსებითად განსაზღვრავს კიდეც ტაძრის ინტერიერის იდეურსა და, მეტიც, საბოლოო მხატვრულ სახეს.

ეს ციკლი მთლიან მოხატულობაში სხვა მხრივაც გამოირჩეულია: ჯერ ერთი – მეტად თუ ნაკლებად მაინც სურათოვნების პრინციპით აგებული, მსუბუქ ხასოვან წარმოებში მოქცეული სცენები ღმრთისმშობლის დაუჯდომელისა, ერთიანი დეკორატიული „ხალისის“ მხოლოდ შემადგენელ ნაწილებად კი არა, დამოუკიდებლადაც იკითხებიან (ამიტომაცაა ამ საკმაოდ მაღალი ცენტრალური კამარის ორსვე ფერდზე გაშლილი „აკათისტოს“ საგალობელთა ილუსტრაციები ასე თავისუფლად, ძალდაუტანებლად მოსახილველი). და მეორე - მთლიან მოხატულობაში ხსენებული ციკლის ილუსტრაციებს შედარებით მეტად გამოარჩევენ სხვა საუფლო სცენებში არც თუ ასეთი ინტენსივობით გამოყენებული მუქი მოწითალო ტერაკოტას სიჭარბით წარმოქმნილი, სახეიმოდ მკლერი ფერადოვნება.

„აკათისტოს“ პიმნის ილუსტრაციები ჩვენს სახეობის ხელოვნებაში მხოლოდ მოგვიანებით, XVI საუკუნეიდან არის ცნობილი - სამინიატურო ხელოვნების ძეგლებში შედარებით ფართოდ ასახული²⁶, ტაძართა მოხატულობაში კი მხოლოდ

²⁶ ღმრთისმშობლის დაუჯდომელის ე.წ. ორბულიანისეულ ნუსხას და მის ილუსტრაციებს, სადაც არა მხოლოდ კონკრეტული, სოკადი სახის მრავალი საეურადლებო საკითხიცაა აღმჩენი, საგანგებო წერილი უძღვნა ნინო გიორგობიანი: ღმრთისმშობლის დაუჯდომელის დასურათების ისტორიისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. საქართველოს სიძველენი, 4-5, 2003, გვ. 237-258.

სამგან (ახალი შუამთის, გელათის მთავარი ტაძრისა და ხობის მოხატულობაში) წარმოდგენილი¹⁷. ამ სამთავან შედარებით გამოირსეული სწორედ რომ ხობის ტაძრის მოხატულობაა. სადაც შესრულების თუმიც თავისებურ; მაგრამ სხვათაგან არც თუ დიდად განსხვავებულ მხატვრულ მანერასთან ერთად. „აკათისტოს“ სტროფების ილუსტრაციები თითქმის სრული სახითაა წარმოდგენილი. ეს შემოთაც იქვეა - საგალობელთა 24 სტროფიდან აქ ხომ 20-ია სახვითად ასახული¹⁸.

„აკათისტოს“ საგალობელთა ეს ოცი სტროფი საუფლო დღესასწაულებს არა მხოლოდ მოთხსენიებს, ასურათებს კიდევ (ხარება იქნება ეს, შობა თუ მირქმა) და გასაგებია. ნეჩი ოსტატი ამ სცენებს ტაძრის მთლიან მოხატულობაში რომ აღარ უბრუნდება. მოხატულობის დანარსენი, ინტერიერის ცენტრალური სივრცის შედარებით მომცრო მონაკვეთები - ჩრდილოეთისა და სამხრეთ მკლაეთა კედელ-კამარები, ახლა უკვე, სამართლმადიდებლთა წმინდანთა ცალკეული გამოსახულებებისა და საუფლო ციკლის მომღვეწო სცენებისთვის არის განკუთვნილი.

სამხრეთი მკლაეთა სამხრეთ კედელზე (ნახ. 6, სურ. 4) სამი რეგისტრია: ზედა, რომელიც სარკმლის ორსავე მხარესაა გაშლილი, მრავალფიგურთა კომპოზიციას გადმოსცემს. მის ქვემოთ მედალიონთა მწკრივის მომცველი რეგისტრია წმინდანთა ნახევარფიგურებით. მათგან ორი - ევსტრატე და ავქსენტი, - სარკმლის მარცხნივ სწდება; სამიც - ევგენი, მარდარი და ორესტი მათ სამირისპიროდ. ბოლო, დამასრულებელი რეგისტრი ტაძრის ამ მონაკვეთის მოხატულობისა ჯერ

¹⁷ ახალი შუამთის ჯვართქან-გუმბათიანი ეკლესიის XVI საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობაში „აკათისტოს“ თემა დახვედრით მკლაეთა კედელს სამ რეგისტრზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ სამი სცენა: „ღმრთისმშობლის თავიანისცემა“... „უბიწოდ მოსახევა“ (უკმანკილი ანგელოზთა შორის) და „მართამისა და ულისაბუდის შეხვედრა“.

¹⁸ აქვე თქმის ორი სცენა გელათის მთავარი ტაძრის XVI საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობაშიც დასაყდელი კედელზეა გაშლილი - ცენტრალური სარკმლის ქვემოთ, გვირდოვიეროდ სიმეტრიულად წარმოდგენილი: „უცხისა შორისა მხილველი უცხო ვიქმნეთ სოფლისა“ და „ზღუდე ხარ ქალწულთა, ღმრთისმშობელა“. - იხ. ირ. მამათამიელი, ღმრთისმშობლის დაუჯდომელის პიშის ილუსტრაციები გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამკუთხური შრომების კრებული. 3, 2002, გვ. 57-62.

¹⁹ მკვლევართა ვარაუდით, სქემები, რომლებიც საფუძვლად დაედო „აკათისტოს“ ილუსტრაციებს IV-V საუკუნეების საიმპერატორო იკონოგრაფიიდან მომდინარეობს და მხოლოდ შუა საუკუნეების ხელნაწებში, არსებითად, XIII-XIV საუკუნეებიდან მოულოდნელად ფართოდ ასახვას. ეს ის საუკუნეებია, როდესაც დიტიურგია შესამჩნევ გაეყენება ახლანდელ სამართლმადიდებლთა სახვითი ხელნაწების სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე. სწორედ ამ პერიოდიდან სწდება ღმრთისმშობლის დაუჯდომელის დახურათებათა პირველი ნიმუშები (პანაგია ოღამისოტისა ულასონში - XIII საუკ. ბოლო მკითხველი, წმ. ნიკოლოზ ორფანოზის ეკლესია თესალონიკეში - XIV საუკ. დამღვეტი. პანტოკრატორის ეკლესია დენანაში - XIV საუკ. 40-იანი წლები და სხვა; მისკოვის საისტორიო მუსეუმისეული დაეითის XIV საუკ. 50-იანი და 60-იანი წლების ორი ხელნაწერი და სერბული დაეითი 1370-1395 წლებისა ღმრთისმშობლის დაუჯდომელის ილუსტრაციებით).

აკათისტოს გამოსახულებათა შესახებ: Ерминия или наставление в живописном искусстве составленное иеромонахом и живописцем Дионисием Фурнографистом. 1701-1783, Труды Киевской духовной академии. 1868, 1, გვ. 559-563. ამასთან: А. Панадопуло-Касрамева, Акафист. Византийский временник. 1903, 10; მისივე, О настоящем положении вопроса об Акафисте, იქვე. 1910, 25.

T. Velmans, Une illustration inédite de l'Acathiste et l'iconographie des hymnes liturgiques à Byzance. Cahiers Archéologiques. XII, 1972.

В. Джурнич, Византиске фрејске у Бугославију, Београд, 1975.

J. Lafontaine-Dosoguc, Les cycles de la Vierge dans l'église de Decani, Enfance. Dormition et Akathiste. Decani et l'art Byzantion an Milieu du XIV siècle, Београд, 1980.

მასშტაბურად გამოსახულ, ცალკე მდგომ ფრონტალურ ფიგურას წარმოგიდგენს - იკონოგრაფიულად, ალბათ, წმ. იოანე ოქროპირს: შემდეგ კი, სარკმლის ქვემოთ, წელსუფით გამოსახულ, სამმუთხედში მობრუნებულ ღმრთისმშობელს ყრმით. ღმრთისმშობელისა და წმინდა მამის გამოსახულებათა შორის საკმაოდ უარყო არეა მოხატულობისა, სადაც აუცილებლად იყო რაღაც გამოსახული, მაგრამ დღეისათვის ეს მონაკვეთი ისეა დასიანებული, რომ შეუძლებელია მასზე რაიმეს თქმა. რაც შეეხება პირველ რეგისტრად ასახულ, სემოსხენებულ მრავალფიგურიან კომპოზიციას, ის თავიდან ერთ სცენად - „ამაღლებად“ იკითხება, მაგრამ დაკვირვებით ნახს, რომ „ამაღლება“ (ნათების სოლით გაბრწყინებული მაცხოვარი - მის ქვემოთ მისკენ მომართული თორმეტი ფიგურა, რომელთაგან მოციქული თერსიმეტია, ერთი კი - ღმრთისმშობელი) მხოლოდ სარკმლის მარცხნივაა გაშლილი. მარჯვნივ კი - ისევ მოციქულთა ჯგუფია, რომელთაც მაცხოვარი მიუძღვით. საეარაუდოდ, რადგან კომპოზიციის ეს მონაკვეთიც არაა პირვანდელი სახით შემორჩენილი - აქ, იქნებ, ამაღლებამდე ელუონის მთაზე მაცხოვრისა და მოციქულთა ღოცვა იყოს ასახული: სახარებისეული ეპიზოდი, რომელიც წინ უძღვის ამავე ელუონის მთიდან მაცხოვრის ზეცად ამაღლებას.

სახარებისეულ ეპიზოდთა თხრობა თანმიმდევრულად გრძელდება სამხრეთისავე მკლავის სხეადასხვა მონაკვეთზე - ჯერ კამარის ცენტრალურ არეზე (ნახ. 8, სურ. 9), სადაც ყოელისმპერობელის, სახარებითა და მაკურთხეველი მარჯვენით წარმოდგენილი, წელსემო ფიგურა ნიღება: შემდეგ კი - კამარის ორსავე ფერდზე: მარცხნივ „ღმრთისმშობლის მიძინება“ ანგელოზის მიერ იოფანესათვის ხელების დაჭრის ეპიზოდით, ხოლო საპირისპირო, მარჯვენა ფერდზე „ტაძრად მიყვანება“ - თხრობითობით გამორჩეული კომპოზიცია იერუსალიმელ ქაღწულთა გუნდით, ანასა და იოაკიმეს ფიგურებით, წმიდათა-წმიდაზე ანგელოზის მიერ მარიამის გამოკვებითა და სხვა ამ რიგისავე იკონოგრაფიული დეტალებით.

მოხატულობა ინტერიერის ამ მონაკვეთზე საბჯენ თაღებსაც შემორჩა: სამხრეთ-აღმოსავლეთით წმინდანების კოხმანისა და პანტელეიმონის მთლიანი ფიგურებია წარმოდგენილი, სამხრეთ-დასავლეთით კი - დამიანესა და, ალბათ, პანტელეიმონის მასწავლებლის ერმოლაოსისა. რაც შეეხება სამხრეთი მხარის კილასტრას - მოხატულობა მის აღმოსავლეთ მონაკვეთზე იკითხება მხოლოდ: იესო ქრისტე აქ ისეა გადმოცემული როგორც მღვდელმთავარი (არქიეპისკოპოსი) დიდი.

რამდენიმე სიუჟეტურ კომპოზიციას სრდილოეთი მკლავის მოხატულობაც გვთავაზობს (ნახ. 7), ოღონდ კედლის სიბრტყეზე მათი განლაგება, სამხრეთ მკლავთან შედარებით, სხვაგვარადაა მოაზრებული.

სარკმლის თავზე ძველადთქმისეული სამი ყრმა გამოისახება ანგელოზით, ბერძნული თანამდევით წარწერით - „წმ. ანანია“, „წმ. აზარია“, „წმ. მისაელ“. წელსემოთ წარმოდგენილი, სამივე ფრონტალურად ნახს, მათ მარჯვნივ და მარცხნივ, სრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე „ჯვარზე მიმსჭვალვის“ შედარებით იშვიათი იკონოგრაფიული ვერსიით წარმოდგენილი კომპოზიცია იკითხება: დასავლეთით კი - „გარდამოხსნა“ - მრავალფიგურიანი სცენა, მასში მონაწილე ყველა ძირითადი პერსონაჟით (ფრაგმენტულად შემორჩენილი ბერძნული წარწერა სცენისა ასე იკითხება: „შთასულა“). მათ ქვემოთ კიდევ ერთი რეგისტრია ვიწროდ გაშლილი, სადაც წმინდა არმენაკს შეგრაგნილი მაცხოვარია გამოსახული. კარის თავზე, ლუნეტში მსხვილი ხედით ნიღება ფრთოსანი წმ. იოანე ნათლისმცემელი - გვიან შუა საუკუნეებში წარმოიხეილი სახე „წმინდა იოანე წინამორბედი ანგელოზი უდაბნოსა“. მკერეტელზე მხერით მომართულ წმინდანს ხელთ გაშლილი გრაგნილი უჭირავს ბერძნული წარწერით: „აჰა (კრავი ღმრთისად)“; იოანე, 1, 29. წმ. იოანე ნათლისმცემელი ცენტრალური ნაგის კამარაზეც არის ასახული, ოღონდ ამ შემთხვევაში ღანკანზე

დასველებული თავისივე მოჭრილი თავითაა წარმოდგენილი.

წრდილოეთი მკლავის კამარის ორსავე ფერდზე (ნახ. 8) ორი სიუჟეტური კომპოზიციაა ენების ციკლიდან; აღმოსავლეთით „ჯვარცმა“ (ბერძნული წარწერით; „იესო ნაწარვეელი მეუფე პურიათა“ და „ჯვარცმა ქრისტესი“) დასავლეთით - „საფლავად დადება“ (ბერძნული წარწერით; „საფლავთან ტირილი“). საგულისხმო აქ ისაა, რომ ნიკოდიმოსი ზურგზე მოკიდებული კიბით აქ არის გამოსახული და არა, როგორც სვეტლებრივ ხდება ხოლმე, „გარდამოხსნის“ სცენაში⁷.

ამ ორი სცენის შუაშია მოხაკეთსე ფართოდ შარავანდმოსილი ფიგურა იკითხება მაცხოვარისა - ბერძნული წარწერით: „თქვენთან (არს) დიდისა განზრახვისა ანგელოზის“ (ესაია 9,6). არშოასაყთო გაშლილი ბერძნული წარწერა კამარის ამ ცენტრალური ფიგურის ზემო რეგისტრის გამმოჯნაე სოლსაც დაუყუება. წარწერა ასე იკითხება: „ადამიანის ცხოვრების დარაჯი“.

